

**Exploratory field research expedition in Aspindza municipality
(Tmogvi, Achkhia-Mirashkhani, Saro-khizabavra)**
საველე დაზვერვითი ექსპედიცია ასპინძის მუნიციპალიტეტში
(თმოგვი, ახჩია-მირაშხანი, სარო-ხიზაბავრა)

Tamar Matiashvili

Associate Professor, LEPL Samtskhe-Javakheti State University

106 Rustaveli str. 0800, Akhaltsikhe, Georgia

ORCID: 0000-0002-7340-7608

tamarmatiashvili@yahoo.com

+995599157317

Nikoloz Akhalkatsi

Professor, LEPL Samtskhe-Javakheti State University

106 Rustaveli str. 0800, Akhaltsikhe, Georgia

ORCID: 0000-0001-7814-2103

nikoaxal@gmail.com

+995577987729

Abstract

The work is presented through Samtskhe-Javakheti State University's science project – Field research expedition in October of 2018. Expedition group consisted of university professors and students of archeology. Archeological field research was done in Aspinda municipality (villages Tmogvi, Achkhia, Mirashkhani, Saro, Khizabavra).

The archeological material which was retrieved during the survey of above mentioned locations have been identified:

On Ackhia valley, ceramic material retrieved from around Kurgans is identical to the ones discovered by Meskheti-Javakheti expeditions and thus are dated from the end of XVI BC to the first half of XV BC.

Materials retrieved from Achkhia village remains are dated late middle ages.

Stone box slabs found in village Saro, within the territories of Ushangi Ivanidze are identified as a burial from the Hellenistic age.

Burial items given to us by Ushangi Ivanidze from the village Saro are dated IV-III BC due to the necklace and burial jar.

On the norther side of Khizabavra, large Kurgans were identified, as well as, remains of a church. On the eastern side of Khizabavra, close to the remains of a church where arch of a hall church is visible, ceramic material was retrieved and dated late middle ages.

Archeological material was retrieved close to Saint Marin church of Tmogvi, mostly clay pottery from the late middle ages.

During the expedition, the sites where interesting archeological materials have been found were marked with GPS coordinates. GPS markings, as well as, cameral works were done by the students. Retrieved materials are kept in the university museum.

Key words: Field research expedition, Tmogvi, Achkhia, Mirashkhani, Saro, Khizabavra.

თამარ მათიაშვილი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
მის.: საქართველო, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113, 0800
ORCID: 0000-0002-7340-7608
tamarmatiashvili@yahoo.com
+995599157317

ნიკოლოზ ახალკაცი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
დოქტორი მის.: საქართველო, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113, 0800
ORCID: 0000-0001-7814-2103
nikoaxal@gmail.com
+995577987729

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში 2018 წლის ოქტომბრის თვეში განხორციელებული არქეოლოგიური საველე დაზვერვითი ექსპედიციის ანგარიში. ექსპედიციის ჯგუფში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორები და ისტორია-არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები. არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები განხორციელდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თმოგვი, ახჩია, მირაშხანი, სარო, ხიზაბავრა).

აღნიშნული პუნქტებიდან მოპოვებული ზედაპირული მასალა დამუშავების და შესწავლის შედეგად შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

ახჩიის ველზე, ყორღანების მიმდებარე ტერიტორიაზე აკრეფილი კერამიკული მასალა იდენტურია მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი მასალისა და თარიღდება ძვ.წ. XVI ს-ის ბოლო და XV ს-ის I ნახევრით.

ახჩიის ნასოფლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად მოპოვებული მასალა ზოგადად თარიღდება გვიანი შუასაუკუნეებით.

სოფ. საროში მცხოვრები უშანგი ივანიძის ახლად აშენებულ სახლს ეკვრის ძველი მიწური, სადაც ჩანს ქვაყუთის, ქვის ფილები და სავარაუდოდ აქაც ელინისტური ხანის სამარხი უნდა იყოს განთავსებული,

სოფ. საროში მცხოვრები აუშანგი ივანიძის მიერ გადმოცემული სამარხეული კომპლექსი მძივის და ხელადის მიხედვით ძვ. წ. IV –III საუკუნეებით დათარიღდა.

ხიზაბავრის ჩრდილოეთით მდებარე ადგილ ვარანტაში გამოვლენილია დიდი ზომის ყორღანული სამარხების ჯგუფი და ეკლესიის ნანგრევები. ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით, ნაეკლესიართან აიკრიფა გვიანი შუა საუკუნეების კერამიკული მასალა.

თმოგვის, წმ. მარინეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოპოვებულია გვიანი შუასაუკუნის პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ექსპედიციის დროს ზედაპირული არქეოლოგიური მასალის მოპოვების ადგილები დაფიქსირდა GPS კოორდინატებით. არქეოლოგიური ძეგლების GPS კოორდინატების ფიქსაცია და კამერალური სამუშაოები განხორციელდა სტუდენტების მიერ. მოპოვებული მასალა ინახება უნივერსიტეტის მუზეუმში.

საძიებო სიტყვები: საველე დაზვერვითი ექსპედიცია, თმოგვი, ახჩია, მირაშხანი, სარო, ხიზაბავრა.

2018 წლის ორქტომბრში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების თმოგვის, ახჩია-მირაშხანისა და სარო-ხიზაბავრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ მათიაშვილი და პროფესორი, დოქტორი ნიკოლოზ ახალკაცი. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ნანა გოგოლაძე, ნინო გოგოლაძე, ციური პარუნაშვილი, ნატო გიორგაძე, ოტია ზედგენიძე, ნათია ჯვარიძე, თამარ კაპანაძე, მარეხი ზედგენიძე, მერაბიშვილი მანანა, ჯონი კურტანიძე, ილია ზუმბაძე, გიორგი ზედგენიძე, გიორგი ტაბატაძე, დავით ჩადუნელი, თეა მაზმანიშვილი. GPS კოორდინატები განსაზღვრულია ნ.ახალკაცის მითითებით სტუდენტ დავით ჩადუნელის მიერ.

კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო სტუდენტებმა: დავით ჩადუნელმა, თეა მაზმანიშვილმა (თეა მაზმანიშვილის მიერ შესრულებულია მოპოვებული მასალის ტაბულები).

არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მოპოვებული მასალები დამუშავების და შესწავლის შედეგად შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

1. ახჩიის ველზე, ყორღანების მიმდებარე ტერიტორიაზე აკრეფილი კერამიკული მასალა იდენტურია მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი მასალისა, რომლებიც ფორმისა და კეცის დამუშავების მიხედვით შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის წრეში ექცევა და ძვ.წ. XVI ს-ის ბოლო და XV ს-ის I ნახევრით თარიღდება(ღამბაშიძე, 2000: 99) . ექსპედიციის მიერ დადგინდა გათხრილი და გაუთხრელი ყორღანების GPS კოორდინატები.

2. ახჩიის ნასოფლარის ტერიტორიაზე საველე-დაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალა ზოგადად თარიღდება გვიანი შუასაუკუნეებით.



ტაბ. I

3. საროში ბერბუკების სამაროვანი და ციხის ტერიტორია დაფიქსირდა GPS კოორდინატებით. საროში მცხოვრები უშანგი ივანიძის საკარმიდამო, ქვეუბნის ციხის ტერიტორიაზეა განთავსებული და მის შედარებით ახლად აშენებულ სახლს ეკვრის ძველი მიწური, სადაც ჩანს ქვაყუთის, ქვის ფილები და სავარაუდოდ აქაც ელინისტური ხანის სამარხი უნდა იყოს განთავსებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბერბუკებად წოდებული სამაროვანი ალბათ ამ ტერიტორიაზეც ვრცელდება.

4. უშანგი ივანიძის მიერ გადმოცემული სავარაუდოდ სამარხეული კომპლექსი მძივის და ხელადის მიხედვით ძვ. წ. IV –III საუკუნეებით დათარიღდა.

5. ხიზაბავრის ჩრდილოეთით მდებარე ადგილ ვარანტაში გამოვლენილია დიდი ზომის ყორღანული სამარხების ჯგუფი და ეკლესიის ნანგრევები. ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით, ნაეკლესიართან, სადაც ჰუმუსოვან ფენაში შესამჩნევია დარბაზული ეკლესიის აბსიდის მონახაზი, გაკეთდა ფოტოფიქსაცია, ზედაპირულად აიკრიფა გვიანი შუასაუკუნეების კერამიკული მასალა და დადგინდა GPS კოორდინატები.

6. თმოგვის, წმ. მარინეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოპოვებულია არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, გვიანი შუასაუკუნის პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები(ტაბ. XIV-XVI).



ტაბ. II

ახჩიის გადასახედი (ტაბ. I-VI). ახჩიის გადასახედი ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს და მდებარეობს ვარძიიდან 6 კმ. დაშორებით სამხრეთის მიმართულებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. იგი ვერტიკალურად განლაგებული რამდენიმე ტერასისაგან შედგება.

ექსპედიციის ჯგუფის მიერ კონცხის ზედაპირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღინუსხა ყორღანების ჯგუფი, რომლებიც 1970-1972, 1981-1988 წწ. შესწავლილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციების მიერ. ტერიტორიაზე სადაზვერვო სამუშაოების შედეგად დადასტურდა ერთი გაუთხრელი და 8 გათხრილი ყორღანი, რომელთაგანაც შემორჩენილია ყორღანების ქვაყრილები და დასაკრძალავი კამერები (ტაბ. I-II). ზედაპირულად აიკრიფა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა და გაკეთდა ფოტოფიქსაცია.

სადაზვერვო სამუშაოების შედეგად ასევე დაფიქსირდა ახჩიის ნასოფლარი, რომლის GPS კოორდინატებია: N4120384 - E4315292;

გათხრილი ყორღანების GPS კოორდინატებია:

N4120680 - E 4315003;

N 4120650- E 4315031;

N4120664 - E 4315047;

N 4120677- E 4315070;

N 4120688- E 4315078;

N 4120668- E 4315028;

N 4120509- E 4314812;

N4120471-E4314814;

გაუთხრელი ყორღანის კოორდინატები:

N4120487- E4314734;




ტაბ. III

ახჩიის ველზე, დაფიქსირებულ ყორღანების მიმდებარე ტერიტორიაზე აკრეფილი კერამიკული მასალა იდენტურია მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი მასალისა. აქ აღმოჩნდა თხელკეციანი თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (კოჭობი?) მოშავო-მორუხო ფერის კეციით და ზედაპირით (ტაბ. III, 2; ტაბ. IV,1) – სქელკეციანი, შავად ნაპრიალები თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც შემკულია კოპისებური ორნამენტით (დერგი?) (ტაბ. III, 1), თიხის სჭურჭლის შავი ფერის ფრაგმენტები (ქილა?) ორნამენტირებული ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოთავსებული ირიბად დახრილი სავარცხლისებური შტამპით. ერთ-ერთ კერამიკის ნატეხს ეტყობა სამკუთხედის ფრაგმენტი, რომელიც ნაჭდევი წერტილებით არის შევსებული და წვერით მიმართულია ორ კონცენტრულ ხაზს შორის გამოსახულ ჭდეული წერტილოვანი ხაზებით შემკული ორნამენტისკენ. მესამე ფრაგმენტი არის ბაკომომრგვალებული მრგვალგანივკვეთიანი პირი, რომელსაც შიდა მხრიდან დაუყვება კონცენტრული ამოდარული ხაზი (ტაბ. III, 3; ტაბ. V), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შავი ზედაპირით და მოყავისფრო-მოწითალო შიდაპირით. შავი ფერის თიხის ჭურჭლის პირგვერდის ფრაგმენტი (პირმოყრილი ჯამი), აღდგენილია ნაწილობრივ (ტაბ. III, 2; ტაბ. IV,2) და ობსიდიანის ანატკეცები (23 ცალი) (ტაბ. VI).

კერამიკული ნაწარმის ეს ტიპი მესხური ჭურჭლების ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება გავაერთიანოთ, რომლებიც ფორმისა და კეცის დამუშავების მიხედვით შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის წრეში ექცევა და ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ლოკალურ ჯგუფს ქმნის (ლამბაშიძე, 2000: 99) .

რაც შეეხება ობსიდიანების ანატკეცების აღმოჩენას, არც მათი აღმოჩენა არ არის სიახლე ყორღანებთან მიმართებაში. არქეოლოგი პროფ. დოქ. ოთარ ლამბაშიძე 1990 წელს გათხრილ N1 ყორღანში აღმოჩენილ ობსიდიანის ორ ფრაგმენტს დაკრძალვის წესთან აკავშირებს (ლამბაშიძე და სხვ., 1990). ალბათ დაკრძალვის წესთან დაკავშირებით რაღაც რიტუალი ტარდებოდა, სადაც ობსიდიანის ფრაგმენტები იყო გამოყენებული, რადგან ხშირ შემთხვევაში ყორღანების მიმდებარედ აღმოჩენილია ობსიდიანის უფორმო ანატკეცები.




ტაბ. IV


ახჩისა და მესხეთის სხვა თანადროული ძეგლების მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურა განაგრძობდა არსებობას და ამიტომ "მესხური" კერამიკა ისევ მტკვარ-არაქსული იერის მატარებელია. როგორც ჩანს ძველი ტრადიციები აქ მთლიანად არ ქრება თრიალეთის კულტურის გამოჩენის ხანაშიც, რის შედეგადაც მესხეთში თრიალეთური კულტურის ე.წ. "მესხური ვარიანტი" ჩამოყალიბდა. სამარხის ყორღანული ტიპი მესხეთში თრიალეთური კულტურის შემოჭრასთან არის დაკავშირებული და მეცნიერთა ვარაუდით თრიალეთის კულტურა მესხეთში ძვ. წ. XVII ს-ის II ნახევრიდან იწყებს გავრცელებას, მოიცავს ძვ. წ. XVI საუკუნეს, გადადის XV საუკუნეში და თრიალეთის კულტურის დაცემასთან ერთად წყვეტს არსებობას (ჯაფარიძე და სხვ., 1990).

ექსპედიციის მიერ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც ძვ. წ. XVI ს-ის ბოლო და XV ს-ის I ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

ახჩის ნასოფლარის ტერიტორიაზე განსხვავებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აიკრიფა, ძირითადად გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის: თიხის ჭურჭლის წითლად გამომწვარი სქელკეციანი, რელიეფურ წიბოიანი ფრაგმენტი – (ქილის ფრაგმენტი?) სქელკეციანი, წითლად გამომწვარი. შეღებილი წითლად, წერნაქიანი და ნაპრიალები თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. წითელკეციანი, მსხვილმარცლოვანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი რომელსაც, დაუყვება წვრილი რელიეფური ორ-ორი ხაზი. სქელკეციანი, მოჩალისფრო-მოყავისფრო ზედაპირით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც ეტყობა ორი ამოღარული ხაზი და სხვა.



ტაბ. V



ტაბ. VI

ძირითადად ეს არის სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების კერამიკა. რაც შეეხება წერნაქიან თიხის ჭურჭლის ფრაგმენტს - “მიწის საღებავი” წერნაქი, ანუ წითელი ანგობი იგივე თიხაა, რომელსაც ჭარბად ურევია რკინის ჟანგი. წერნაქი ბუნებაში მზა სახით არსებობს ჩვეულებრივ ყვითელია და მხოლოდ გამოწვის შემდეგ ღებულობს მუქ წითელ ფერს. ჭურჭლის წერნაქით დაფარვა რთულ ტექნოლოგიურ პროცესთან არის დაკავშირებული. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ საღებავი მტკიცედ დაუკავშირდეს ჭურჭლის ზედაპირს, რისთვისაც საჭიროა წერნაქი სავსებით ეთანხმებოდეს ძირითად მასას შეკუმშვის პროცესის ყველა სტადიაში, როგორც შრობის, ისე გამოწვის დროს.

გვიანი შუასაუკუნეების ხანაში წერნაქიანი ჭურჭელი მასიურად იწარმოება, რადგან ამ დროს მოჭიქული კერამიკის წარმოება მცირე მასშტაბისაა. ხელოსანი, რომელსაც აღარ გააჩნია მოჭიქული ჭურჭლის წარმოების დიდი გამოცდილება, ფართო მასების მოთხოვნილებას სადა წერნაქიანი ჭურჭლით აკმაყოფილებს, ხოლო მაღალი საზოგადოება ლითონის, ფაიანსის, მინის ჭურჭელს მოიხმარს.

ახჩიის ნასოფლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად მოპოვებული მასალა ზოგადად თარიღდება გვიანი შუასაუკუნეებით.

სარო. დაზვევრვითი სამუშაოები ჩატარდა ასევე სოფ. საროში, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1480 მეტრზე, ასპინძიდან 17 კილომეტრის დაშორებით (ტაბ. IX-XII). სოფ. საროში, 1989-1991 წლებში მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელიპროფ. ოთ. ღამბაშიძე) გაითხარა

ბერბუკების სამაროვანი, მოპოვებული მასალის ანალიზმა აჩვენა ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისა და ბორჯომ-ახალციხის მხარეში ცნობილ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების მსგავსება. აღნიშნული გარემოება ზოგადად საშუალებას იძლევა მეტნაკლები წარმოდგენა ვიქონიოთ სამცხე-ჯავახეთის მოცემულ რეგიონში ერთმანეთის მონაცვლე კულტურების გავრცელების შესახებ, რომლის განვითარების პროცესები ისტორიის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს მოიცავს, დაწყებულს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპიდან ვიდრე ადრეელინისტური ხანის ჩათვლით (ღამბაშიძე ო. ღამბაშიძე ი. კვიციანი რ., 2000:133).



ტაბ. VII

ბერბუკების სამაროვანი დაფიქსირდა GPS კოორდინატებით:
N4130163- E4316732, N4130138-E4316671.

სადაზვერვო სამუშაოების პროცესში, ადგილობრივი მოსახლის, უმანგი ივანიძის მიერ, გადმოგვცა, მის საკარმიდამო ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები (ტაბ. X-XI), სავარაუდოდ სამარხის ინვენტარი, რომელიც შედგება ხელადის,



ტაბ. VIII

ცალყურა ქოთნის, მინისებური პასტის მძივის, ბრინჯაოს სამაჯურისა და ბეჭდის ფრაგმენტებისაგან.



ტაბ. IX


ეს მასალა მსგავსებას იჩენს ბერბუკების სამაროვანზე აღმოჩენილი №18 სამარხის და საერთოდ ელინისტური ხანის (ძვ. წ. IV-III სს.) სამრხეულ ინვენტართან.

ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული ხელადა, თავისი ფორმით და შეფერილობით (წითელი ფერის ანგობით დაფარული, მაღალი, ცილინდრული, პირ-გადაშლილი ყელი ზედაპირულად ნაპრიალები აქვს. მრგვალ განივკვეთიანი ყური მიძერწილია პირისა და მუცლის მიდამოში. აქვს დაბალი სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი) ემსგავსება ბერბუკების სამაროვანზე აღმოჩენილ სასმისებს. ამ სასმისებს ანალოგიები ეძებნებათ აფხაზეთში გუადიხუს სამაროვანზე გათხრილ №7 და №8 სამარხეულ კომპლექსში, რომელთა ასაკი ძვ. წ. VIII-VI სს არის განსაზღვრული. ეს თარიღი ექვის ქვეშ აქვს დაყენებული არქეოლოგ მალხაზ ბარამიძეს თ ავის ნაშრომში, სადაც მოცემული აქვს კოლხეთის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია



ტაბ. X

(ღამბაშიძე ო., ღამბაშიძე ი., კვიციანი რ., 2000:134; Барамидзе, 1979). მსგავსი ჭურჭელი ცნობილია გუადიხუს ძვ. წ. V-II სს. დათარიღებულ სამარხებიდანაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წნისის სამაროვანზე კულტურულ ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომლის მოყვანილობა ემთხვევა საროს სამარხში აღმოჩენილ სასმისის ფორმას. ბერბუკების სამაროვნის გამთხრელების მოსაზრებით ეს სასმისები კოლხური ტრადიციების მატარებელი უნდა იყოს და მათი აღმოსავლეთით გავრცელების საქმეში სამცხე-ჯავახეთის რეგიონს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სასმისიან სამარხებს ათარიღებენ ძვ. წ. IV-III სს-ით (ღამბაშიძე ო., ღამბაშიძე ი., კვიციანი რ., 2000:134).



ტაბ. XI

საინტერესოა აქ მოპოვებული შავი მრგვალი მინისებური პასტის მძივი (ტაბ. XI), რომელიც შემკულია სამ-სამი, ერთმანეთის მონაცვლეობით, სიგრძეზე თეთრი და მწვანე პასტის ზოლებით, ხოლო მძივის მუცელი კი წრიულად ექვსი თეთრი პასტის მრგვალი ორნამენტით. მსგავსი ანალოგი მას ეძებნება ვანში აღმოჩენილ №22 სამარხის ინვენტართან,

კერძოდ ინკრუსტირებულ მინისებური პასტის მძივთან. ვანის №22 სამარხი მისი გამთხრელების მიერ დათარიღებულია ძვ. წ. IV ს-ის ბოლოთი და ძვ. წ. III საუკუნით (კაჭრავა, ხარაბაძე, 2018:5-64).

მძივის და ხელადის მიხედვით უშანგი ივანიძის მიერ გადმოცემული სავარაუდოდ სამარხეული კომპლექსიც ალბათ ძვ. წ. IV –III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.



ტაბ. XII



ტაბ. XIII

საგანდებოდ უნდა აღინიშნოს საროს მეგალითური ციხე, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ბერბუკების სახელით ცნობილ სახნავ-სათესს დასავლეთიდან ეკვრის ე.წ. “ციხი-ყელას” სახელით ცნობილი ადგილი, რომელზედაც არსებული ციხე-გალავნის და სხვადასხვა სათავსო ნაგებობათა ნაშთები ცნობილია ქვეუბნის ციხის სახელით. ციხის იმ ნაწილს, რომელშიც საროს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაცაა მოქცეული ზედაციხეს, და აგრეთვე საყდრის ციხეს უწოდებს მოსახლეობა. მესამე ციხე საყდრისციხის დასავლეთითაა აშენებული. მათ შორის ”სახიზრების” ხევი ჩამოდის. აღნიშნული ახალციხის სახელითაა ცნობილი.



ტაბ. XIV



ტაბ. XV

“ციხისყელას” მიდამოებში, ქვეუბნის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებულია სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთები. ამ შემთხვევაშიც საამშენებლო ტექნიკა მეგალითურია. ისინი ხასიათდებიან მშრალი წყობით, მაგრამ აქ ის პროპორციულობა და დახვეწილობა, როგორც გალავნის კედლებში შეინიშნებოდა, არ შეინიშნება (ო. ღამბაშიძე, ი. ღამბაშიძე, რ. კვიციანი, 2000:139).


ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოებით არტეფაქტები ვერ აიკრიფა, თუმცა ზემოთხსენებული უშანგი ივანიძის საკარმიდამო, ქვეუბნის ციხის ტერიტორიაზეა განთავსებული და უნდა აღინიშნოს, რომ მის შედარებით ახლადამშენებულ სახლს ეკვრის ძველი მიწური, სადაც ჩანს ქვაყუთის, ქვის ფილები და სავარაუდოდ აქაც ელინისტური ხანის სამარხი უნდა იყოს განთავსებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბერბუკებად წოდებული სამაროვანი შესაძლოა ამ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა.

საროს ციკლოპური ნაგებობების, “ქვეუბნის ციხის” GPS კოორდინატებია:

N 4130338 –E4316741;

ხიზაბავრა. ხიზაბავრის ჩრდილოეთით მდებარე ადგილ ვარანტაში გამოვლენილია დიდი ზომის ყორღანული სამარხების ჯგუფი და ეკლესიის ნანგრევები. ასევე წერაკუნტასა და ოდისების გზაზე ყორღანული ყრილები. ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით, ნაეკლესიართან, სადაც ჰუმუსოვან ფენაში შესამჩნევია დარბაზული ეკლესიის აბსიდის მონახაზი. აქ გაკეთდა ფოტოფიქსაცია და ზედაპირულად აიკრიფა გვიანიშუასაუკუნეების კერამიკული მასალა (ტაბ. XIII).

GPS კოორდინატები: N4130780-E4318444



ტაბ. XVI

თმოგვი. ციხე-ქალაქი აგებულია ერუშეთის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე. კლდის თავზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები და ზღუდე ბურჯები. ფერდობი ნაქალაქარსა და სამაროვნებს უკავია (გაფრიდაშვილი, 1966:41-48). თმოგვიში ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა თავდაპირველი მშენებლობის ფენაა ტუფის გათლილი კვადრების წყობა, მეორე, მოგვიანო ხანის სამშენებლო ფენაში გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ფლეთილიქვა. ციხის კედლების გარეთ ორი ეკლესიაა, დასავლეთით ხევში წმინდა ეფრემის კლდეში ნაკვეთი ეკლესია და მეორე წმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, რომლის მორღვეულ საკურთხეველში XIII ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

წმ. მარინეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ზედაპირულად მოპოვებულ იქნა არქეოლოგიური მასალა ძირითადად გვიანი შუასაუკუნის პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მოვარდისფრო-მოწითალო ზედაპირით, სქელკეციანი, შემკული კონცენტრული რელიეფური და ამოღარული ორნამენტით. სქელკეციანი თიხის ფრაგმენტი, მოვარდისფრო მოწითალო ფერის ზედაპირით, რომელიც შემკულია რელიეფური წნული ორნამენტით, სქელკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი მოყავისფრო ზედაპირით, გადანატეხში შავი, შემკულია კონცენტრული რელიეფური ხაზით. თიხის ჭურჭლის გვერდისა და ძირის ფრაგმენტს (ჭრაქი?) ეტყობა ცეცხლის კვალი. ბრტყელძირიანი თიხის ჭურჭლის მაღალქუსლიანი ძირის ფრაგმენტები (3 ცალი) მოჩალისფრო-მოწითალო ფერის ზედაპირით და ა.შ. (ტაბ. XV-XVI).

თმოგვის ციხის ეს ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

კატალოგი

მირაშხანი-ახჩის გადასახედი

ზედაპირულად აკრეფილი მასალა

1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – (ქილის ფრაგმენტი?) სქელკეციანი, წითლად გამომწვარი, რელიეფური წიბოთი. კეცის სისქე=0,9 სმ.
2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – სქელკეციანი, წითლად გამომწვარი. შეღებილი წითლად და ნაპრიალები. კეცის სისქე=0,9 სმ.
3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – (ყურის ფრაგმენტი?) – წითელკეციანი, მსხვილმარცლოვანი თიხისაგან დამზადებული, დაუყვება წვრილი რელიეფური ორ-ორი ხაზი. კეცის სისქე=2,2 სმ.
4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – სქელკეციანი, მოჩალისფრო- მოყავისფრო ზედაპირით, ეტყობა ორი ამოღარული ხაზი, რომელსაც კვეთს მესამე ამოღარული ხაზი. კეცის სისქე=1,2 სმ.
5. თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი – (ქვევრი?) სქელკეციანი, მოწითალო- მოჩალისფრო ზედაპირით, ბრტყელ ბაკოიანი, კეცის სისქე=2,5 სმ.
6. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, შიდა და ზედაპირი ორივე მხრიდან არის ჩალისფრად ანგობირებული. კეცის სისქე=1 სმ

7. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოწითალო ფერის, კეცის სისქე=0,8 სმ.
8. თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (კოჭობი?) (ტაბ. IV,1) – მოშავო-მორუხო ფერის კეცით და ზედაპირით, თხელკეციანი, ბაკო ამოღარული ხაზით არის გამოყოფილი. კეცის სისქე=0,5 სმ.
9. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დერგი?) (ტაბ. III,1) -სქელკეციანი, შავად ნაპრიალები ზედაპირით, ერთ-ერთი ფრაგმენტი შემკულია კოპისებური ორნამენტით. კეცის სისქე=1 სმ.
10. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ქილა?) (ტაბ. III, 3; ტაბ. V) შავი ფერის ზედაპირით, ორნამენტირებული ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოთავსებული ირიბად დახრილი სავარცხლისებური შტამპი. ერთ-ერთ ფრაგმენტს ეტყობა სამკუთხედის ფრაგმენტი, რომელიც ნაჭდევი წერტილებით არის შევსებული და წვერით მიმართულია ორ კონცენტრულ ხაზს შორის გამოსახულ ჭდეული წეტილოვანი ხაზებით შემკული ორნამენტისკენ. მესამე ფრაგმენტი არის ბაკომომრგვალებული მრგვალგანივკვეთიანი პირი, რომელსაც შიდა მხრიდან დაუყვება კონცენტრული ამოღარული ხაზი. კეცის სისქე = 0,8 სმ (ფრაგმენტები აღდგენილია).
11. თიხის სჭურჭლის ფრაგმენტები – შავი ზედაპირით და მოყავისფრო-მოწითალო შიდა პირით. კეცის სისქე=0,8 სმ.
12. თიხის ჭურჭლის პირგვერდის ფრაგმენტი (პირმოყრილი ჯამი), აღდგენილია ნაწილობრივ (ტაბ. III, 2; ტაბ. IV, 2) შავი ფერის ზედაპირით და შიდა პირით. პირმოყრილი და სავარაუდოდ ძირისკენ შევიწროვებული და დაბალი. კეცის სისქე= 0,7 სმ.
13. ობსიდიანის ანატკეცები (23 ცალი) (ტაბ. VI).

სარო - უშანგი ივანიძის საკარმიდამო ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი

1. ხელადა (ტაბ. X, 2; ტაბ. XI, 2) თიხის. წითელი ფერის ანგობით დაფარული, მაღალი, ცილინდრული, პირ-გადაშლილი ყელი ზედაპირულად ნაპრიალები აქვს. პირნაკლული. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირისა და მუცლის მიდამოში. აქვს დაბალი სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი.

ზომები: h= 14 სმ., პირის d=10 სმ., მუცლის d=11,5 სმ, ძირის d=6 სმ. ცილინდრული ყელის h= 6,8 სმ. კეცის სისქე=0,5 სმ.

2.. ქოთან (ტაბ.X,1;ტაბ.XI,1) თიხის, ცალყურა, მოჩალისფრო-მოყავისფრო ზედაპირით და შიდაპირით, მოხვედრილია ცეცხლში და ნახევარი სფერო ცეცხლისგან შავად არის შეფერილი. პირგადაშლილი, დაბალი, ცილინდრული ყელით, სფერული მუცლით და ბრტყელი ძირით. კორპუსიდან მკვეთრად გამოწეული ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია მუცელზე.

ზომები: h= 9 სმ., პირის d=8 სმ., მუცლის d=12 სმ, ძირის d=6,5 სმ. კეცის სისქე=0,5 სმ.

3. მძივი (სურ. XI, 3) მრგვალი, შავი მინისებური პასტის, შემკულია სამ-სამი, ერთმანეთის მონაცვლეობით, სიგრძეზე თეთრი და მწვანე პასტის ზოლებით, ხოლო მძივის მუცელი კი წრიულად ექვსი თეთრი პასტის მრგვალი ორნამენტით. მძივის $d=2$ სმ, $h=0,7$ სმ.
4. სამაჯური (სურ. XI, 3) ბრინჯაოსი, 14 ფრაგმენტი, რკალისებური, მრგვალგანივკვეთიანი, $d=0,4$ სმ.-02 სმ. დაფარულია ავთვისებიანი პატინით.
5. ბეჭედი (სურ. XI, 3) ბრინჯაოსი, 3 ფრაგმენტი, რკალისებური, ოვალურ განივკვეთიანი ფირფიტა, ფირფიტის $h=0,4$ სმ. დაფარულია ავთვისებიანი პატინით.

თმოგვის ციხე

(წმ. მარინეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია)

1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ქვევრის გვერდი?) (ტაბ. XV, 3)- მოვარდისფრო-მოწითალო ზედაპირით, სქელკვეციანი, შემკულია კონცენტრული რელიეფური და ამოღარული ორნამენტით. კეცის სისქე=1,1 სმ.
2. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ქვევრის?) (ტაბ. XVI, 4) სქელკვეციანი, მოვარდისფრო მოწითალო ფერის ზედაპირით, შემკულია რელიეფური წნული ორნამენტით, კეცის სისქე=1,3 სმ.
3. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი მოყავისფრო ზედაპირით, გადანატეხში შავი, სქელკვეციანი. შემკულია კონცენტრული რელიეფური ხაზით. კეცის სისქე რელიეფურ ორნამენტთან=1,7 სმ, კეცის სისქე=1,2 სმ.
4. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (7 ცალი) სქელკვეციანი, მოყავისფრო-მოჩალისფრო შეფერილობით. კეცის სისქე=1 სმ, 1,6 სმ., 1,3 სმ., 1 სმ., 0,9 სმ., 1,4 სმ., 1,2 სმ.
5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (3 ცალი) თხელკვეციანი, ანგობირებული ჩალისფრად. კეცის სისქე=0,7 სმ.
6. თიხის ჭურჭლის გვერდისა და ძირის ფრაგმენტი (ჭრაქი?) – თხელკვეციანი, მოყავისფრო-შავად გამომწვარი, ეტყობა ცეცხლი სკვალი. ბრტყელძირიანი. გვერდის კეცის სისქე=0,9 სმ. ძირის კეცის სისქე=1,4 სმ.
7. თიხის ჭურჭლის მაღალქუსლიანი ძირის ფრაგმენტები (3 ცალი) (ტაბ. XVI, 1, 2, 3; ტაბ. XV, 2) მოჩალისფრო-მოწითალო ფერის ზადაპირით. $d=4,4$ სმ; 5,3 სმ; 5 სმ.
8. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი- ბრტყელი ოვალურგანივკვეთიანი, მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის. ოვალის $h=4,5$ სმ. სისქე=1, 3 სმ.
9. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი ოვალურ განივკვეთიანი, მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის. ზომა: 1,8X2,9 სმ.
10. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. XV, 6; ტაბ. XVI-4,5) (ორი ცალი) ოვალურ განივკვეთიანი, მოყვითალო-მოჩალისფრო ფერის, ორივე შემკულია ორი რელიეფური ხაზის ორნამენტით. ზომა: 2,5X1,3 სმ, 1,9X1,2 სმ.
11. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. XV, 5) მოწითალოდ ანგობირებული, კეცის სისქე=0,7 სმ, 1 სმ.

12. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, შემორჩენილია მწვანე ჭიქურის ფრაგმენტი. კეცის სისქე=0,5 სმ.
13. თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი მრგვალიბაკოთი, მოყვითალო-მოჩალისფრო ფერის. პირისდ=14 სმ. კეცის სისქე= 0,3 სმ.
14. თიხის ჭურჭლის მრგვალიბაკოიანი პირის ფრაგმენტი პირის d=16 სმ. კეცის სისქე= 0,4 სმ.
15. თიხის ჭურჭლი სპირის ფრაგმენტი – თხელკეციანი, ბრტყელი ბაკოთი, მოჩალისფრო-მოყვითალო ფერის, პირის d=21 სმ. კეცის სისქე= 0,7 სმ.
16. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – მოწითალო-მოჩალისფრო ზედაპირით, შემკულია კოპებით. კეცის სისქე=1 სმ.
17. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი - სქელკეციანი, მოყავისფრო ზედაპირით. კეცის სისქე=1,2 სმ.
18. თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი – სქელკეციანი, მოწითალო-მოჩალისფრო ზედაპირით. კეცის სისქე=2,8 სმ.
19. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – სქელკეციანი, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, კეცის სისქე=1,6 სმ.
20. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – სქელკეციანი, მოჩალისფრო-მოყვითალო ზედაპირით, კეცის სისქე=1,4 სმ.
21. თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოწითალო-მოყავისფრო ზედაპირით, ძირის d=6 სმ, კეცის სისქე =0,9 სმ.
22. თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი – მოყავისფრო ზედაპირით, ბაკომომრგვალებული, კეცის სისქე=0,7 სმ, პირის d=11 სმ.
23. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (2 ცალი) (ქვევრი?) სქელკეციანი, უხეშად დამუშავებული, მოყავისფრო ფერის ზადეპირით. კეცის სისქე= 1,4 სმ., 1,2 სმ.
24. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოყავისფრო ფერის ზადეპირით. ფრაგმენტს მთელ ფართობზე დაუყვება ამოდარული კონცენტრული ხაზები. კეცის სისქე=0,8 სმ.
25. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (3 ცალი) - მოყავისფრო-მოშავო ფერის ზედაპირით, სამივე ფრაგმენტის კეცის სისქე=1 სმ.
26. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოყვითალო-მოჩალისფრო ფერის, კეცის სისქე=1,2 სმ.
27. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – შავი ფერის ზედაპირით, კეცის სისქე=0,9 სმ.
28. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი - თხელკეციანი, მოჩალისფრო-მოწითალო ფერის ზედაპირით, კეცის სისქე=1 სმ.
29. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი - შავი ფერის კეცით, დაფარულია ჩალისფერი ანგობით, კეცის სისქე=0,7 სმ.
30. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – (ქვევრი?) მოყვითალო-მოყავისფრო ფერის ზედაპირით, შემკულია კონცენტრული წნული ორნამენტით, კეცის სისქე=1,3 სმ.
31. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოშავო-მოყავისფრო ფერის ზედაპირით, ეტყობა ქარსისა და კვარცის კრისტალები. კეცის სისქე=0,8 სმ.

32. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოყვითალო – მოჩალისფრო ზედა და შიდაპირით
33. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი – თხელკეციანი, მოჩალისფრო-მოწითალო ზედაპირით, ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. კეცის სისქე=0,8 სმ.

ტაბულების განმარტება:

- ტაბ. I – ახჩიის გადასახედი, გათხრილი ყორღანი
- ტაბ. II – ახჩიის გადასახედი. ყორღანის კამერა, გასათხრელი ყორღანი
- ტაბ. III- IV -V– ახჩია, შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა
- ტაბ. VI- ახჩია, შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული ობსიდიანები
- ტაბ. VII – მირაშხანი, სამერცხლე
- ტაბ. VIII – მირაშხანი, სამერცხლე, კერამიკული მასალა
- ტაბ. IX– სარო, მეგალითები
- ტაბ. X-XI– სარო, უშანგი ივანიძის კარმიდამოში შემთხვევით აღმოჩენილი მასალა
- ტაბ. XII - სარო ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჭური
- ტაბ. XIII- ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით აღმოჩენილი ნაეკლესიარი
- ტაბ. XIV – თმოგვი, ხუთჯვრიანი ქვის ფილა
- ტაბ. XV-XVI – თმოგვი, შუასაუკუნეების ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები

აღნიშნულ ძეგლებზე ადრე ჩატარებული არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურა

- gamqrelidze, g. mindorashvili, d. k'vach'adze, m. bregvadze, z. (2013). *kartlis tskhovrebis t'op'oarkeologiuri leksik'oni*. tbilisi: sakartvelos erovnuli muzeumi - bak'ur sulak'auris gamomtsemloba. (გამყრელიძე, გ. მინდორაშვილი, დ. კვაჭაძე, მ. ბრეგვაძე, ზ. (2013). *ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- gaprindashvili, g. (1966). tmogvi. *dzeqlis megobari*. №6, 41-46. (გაფრინდაშვილი, გ. (1966). თმოგვი. *ძეგლის მეგობარი*. №6, 41-46).
- k'ach'arava, d. kharabadze, s. (2018). akhlad aghmochenili samarovani vanidan. II samarovani. №22 samarkhi. *iberia-k'olkheti* №14, 5-64. (კაჭარავა, დ. ხარაბაძე, ს. (2018). ახლად აღმოჩენილი სამაროვანი ვანიდან. II სამაროვანი. №22 სამარხი. *იბერია-კოლხეთი* №14., 5-64).
- orjonik'idze, a. (1983). *samtskhe-javakheti adrebrinjaos khanashi*. tbilisi: metsniereba. (ორჯონიკიძე, ა. (1983). *სამცხე-ჯავახეთი ადრეებრინჯაოს ხანაში*. თბილისი: მეცნიერება).

- ghambashidze, i. (2000). qorghaniuli samarkhebi samtskhe-javakhetshi. *asp'indza samtskhe-javakhetis sazghvarze*. akhaltsikhe: universit'et'is st'amba, 99-100. (ღამბაშიძე, ი. (2000). ყორღანული სამარხები სამცხე-ჯავახეთში. *ასპინძა სამცხე-ჯავახეთის საზღვარზე* (გვ. 99-100). ახალციხე: უნივერსიტეტის სტამბა).
- ghambashidze, o. (1983). akhali masalebi samtskhe-javakhetidan. ts'inaazia-egeosur samqarostan urtiertobis sak'itkhisatvis. *dzeqlis megobari*, №63. (ღამბაშიძე, ო. (1983). ახალი მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. წინააზია-ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. *ძეგლის მეგობარი*, №63).
- ghambashidze, o. (1989). *meskhet-javakhetis arkeologiuri eksp'editsiis 1989 ts'lis angarishi* (khelnats'eri). (ღამბაშიძე, ო. (1989). *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989 წლის ანგარიში (ხელნაწერი)*).
- ghambashidze, o. (1990). *meskhet-javakhetis arkeologiuri eksp'editsiis 1990 ts'lis mushaobis angarishi* (khelnats'eri). (ღამბაშიძე, ო. (1990). *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1990 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი)*).
- ghambashidze, o. ghambashidze, i. k'virk'vaia, r. (2000). arkeologiuri k'vleva-dzieba sopel saroshi. *asp'indza samtskhe-javakhetis sazghvarze*. akhaltsikhe: universit'et'is st'amba. (ღამბაშიძე, ო. ღამბაშიძე, ი. კვირკვია, რ. (2000). არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფელ საროში. *ასპინძა სამცხე-ჯავახეთის საზღვარზე*. ახალციხე: უნივერსიტეტის სტამბა).
- ghambashidze, o. ghambashidze, i. k'virk'vaia, r. k'vizhinadze, d. . (2004). *meskhet-javakhetis arkeologiuri eksp'editsia 1989-1991 ts'ts'.* *savele arkeologiuri k'vleva-dzieba 1989-1992 ts'lebshi*. tbilisi: metsniereba. (ღამბაშიძე, ო. ღამბაშიძე, ი. კვირკვია, რ. კვიჟინაძე, დ. . (2004). მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1991 წწ. *საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში*. თბილისი: მეცნიერება).
- japaridze, o. avalishvili, g. k'ik'vidze, i. ts'ereteli, a. (1990). *meskhet-javakhetis arkeologiuri eksp'editsiis mushaobis shedegebi*. tbilisi: sakartvelos erovnuli muzeumi. (ჯაფარიძე, ო. ავალიშვილი, გ. კიკვიძე, ი. წერეთელი, ა. (1990). *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები*. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი).
- Гамбашидзе, О. Артилаква, В. (1976). Отчет о работе Месхет-Джавахетской экспедиции. “Полевые археологические исследования в 1974 году”. Тбилиси.
- Гамбашидзе, О.Квижинадзе К. (1979). Работы Месхет-Джавахетской экспедиции. “Полевые археологические исследования в 1976 году”. Тбилиси.

- Гамбашидзе, О.Квижинадзе, К. Орджоникидзе, А. (1980). Отчет работы Месхет-Джавахетской археологической экспедиции. *“Полевые археологические исследования в 1977 году”*. Тбилиси.
- Гамбашидзе, О.Квижинадзе, К. (1982). Работы Месхет-Джавахетской археологической экспедиции за 1976-1979гг. *Археологические исследования на новостройках Грузинской ССР*. Тбилиси.
- Гамбашидзе, О. Гамбашидзе, И. (1987). Месхет-Джавахетская экспедиция в 1984 году”. *“Полевые археологические исследования в 1984-1985 годах”*. Тбилиси.
- Гамбашидзе, О.Квижинадзе, К. (1982). Месхет-Джавахетская экспедиция. *“Полевые археологические исследования в 1980 году”*. Тбилиси.
- Квавадзе, Э. Кахиани, К. Битадзе, Л. (2011). Палеоэкологические условия Самцхе-Джавахети в первой половине III тысячелетия до н. э. по палинологическим данным археологического материала. *Международная научная конференция «Археология этнология фольклористика Кавказа»*. ТБ.:141-143
- Чубинишвили, Т. (1957). Археологические разведки в южных районах Грузии (Месхет-Джавахети). *Советская археология 4*.
- Gambashidze, Ir. Hauptmann, A. Slotta, Yalcin, Ü. (2001). *Georgien- Schätze aus dem Land des Goldenene Vlies- Katalog der Ausstellung des Deutschen Bergbau Museums Bochum in Verbindung mit dem Zentrum für Archäologische Forschungen der Georgieschen Akademie der Wissenschaften vom 28.10. 2001 bis 19.Mai 2002*. Bochum. Kat. 187, ss.319.